როგორც კი მანქანაში ჩავსხედით, გიორგი ეუბნება მძღოლს:

— ჩვენკენ აატარე მანქანა, ბიჭო, გასაღებს წამოვიღებ კლიტისას.

— რაო, გიორგი, ვენახის კარს უკვე კლიტეს ადებ? — უკვირს გიგას.

— ვენახს თავიდანვე უნდა მოვლა ახალ პატრუსავით, ზოგიერთ ცხენსა და ძროხას იმდენი ნამუსი კი არა აქვს, გვერდი აუაროს დაუკეტავ კარს.

მშვენიერი სახლკარი გაუწყვია გიორგის. წინა ეზო ხეხილით არის საგაჩამწკრივებულან, მეორე მხარეს კი ვაზები გაჭყოლიან მავთულებს. ვენახსა და ხეხილს შუა მარანი აუშენებია პატრონს და იქვე მურა ძაღლიც დაუბამს ჯაჭვით.

ვათვალიერებთ იქაურობას და გაოცებული ვართ: პატარძლის დაგვილ ეზოსავით კრიალებს იქაურობა. ვაზის ძირები და მწკრივთაშორისები დაბარულ-გადახნულია. რქა ვაზისა გაპატრიარქებულა და ყინჩად აღერილა, მავთულებზე მიჯრით მიწყობილი.

იმვიათად მინახავს ვენახი, სადაც ასე ახლო-ახლო ქქონია კვირტი რქას. საოცარია, რა მუყაითი უნდა ყოფილიყო ამხელა ნაკვეთზე იმდენი სანამყენე კვირტის შემრჩევი.

— გაგაცდინეთ, გიორგი,—ბოდიშს იხდის ალექსი, — მაგრამ ხომ იცი, სტუმარი ღვთისაა. ქალაქში გაუგია ამ კაცს შენი ვენახის ქება და უნდა მაგის ჯიშისა გიმრავლოს. ხომ არ დაზარდები, რომ დასამყნობად საკვირტე რქები შეურჩიო.

— ჯერ ერთი: სტუმარი ღვთისა კი არა, — მსაპინძლისაა, — სავსე ხელადას ართმევს გიგას გიორგი. — მეორეც როდის იყო, რომ მე კაი კაცს კაი საქმეზე ვზარდებოდი? თუ უნდა, დღესვე შევურჩევ და გავაკეთ.

—აჰა, ძმაო, — მომიბრუნდა ალექსი, — შენი საქმე უკვე გაიჩარხა. ახლა კი მეც ჩემს საქმეს მივხედავ, საღამოთი კი ჩემი სტუმარი ხარ.

— გიორგის ნუ გავაწბილებთ, ამაღამ ამასთანა ვარ დაპატიჟებული და მოდი ეს კაციც და თქვენც ჩვენ გვეწვიეთ, — ეუბნება გიგა რაიკომის მდივანს.

კოლმეურნეობაში მისი დაარსებიდან შესულა ხარატონაშვილი და მეცხოველე მევენახედ ქცეულა. იმჟამად კოლმეურნეობას მხოლოდ ნახევარი ჰექტარი ვენახი ჰქონია. გადაუწყვეტიათ ვენახის ფართობის გადიდება და სანერგეც შეუქმნიათ, რომლის მომვლელ-ყარაულადაც გიორგი დაუნიშნავთ. ნამყენსაც აკეთებდა და 35.000 ცალ ნერგსაც თავად უვლიდა.

— 1934 წლიდან იგრე დაოსტატდნენ მენამყენეები მყნობაში, რომ 100 ცალი ნამყენიდან 69 ცალ პირველი ხარისხის ნამყენს ახარებდნენ, — სიამოვნებით იგონებს გიორგი. — სწორედ ამაზე იყო, რომ ჩვენი ბრიგადის ბრიგადირი ბაგრატ ჩხეტიანი, როგორც საუკეთესო მევენახე, მოსკოვში იყო და ოქროს საათითაც დაჯილდოვეს. ამის მერე იმატა ვენახის ფართობმა. შემდეგ ის იყო, ბაგრატა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს და ბრიგადირობა მე დამრჩა. მერე თანდათან ვუმატეთ და ვუმატეთ ვენახსა, და ომის წინ უკვე 26 ჰექტარი ვენახი ქქონდა ბრიგადას.

როდესაც დიდი სამამულო ომი დაწყებულა, გიორგი არმიაში გაუწვევიათ საშობლოს დასაცავად. შემდეგ კი ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ იქნა და კვლავ ზურგის ფრონტს დაუბრუნდა, რომელიც, იმჟამად არანაკლებ ესაჭირეოდა ჩვენს ქვეყანას.

ხელგაუჭირებელი და ფეხჩაუკრეფავი იყო გიორგი. ჯარისკაცის მაზარანაცვამ კაცს კარგად ესმოდა ჯარისკაცისა და ამიტომ წარამარა გზავნიდა ფრონტზე ამანათებს: თბილი წინდები, ჩუქჩხელები, ღორის ქონი, ბაშში თუ ხილი ყოველ თვე ეწყობოდა ყუთებში გიორგის ოჯახში.

ხარატონაშვილის არმიიდან დაბრუნების შემდეგ კოლმეურნეობაში მევენახეობის ბრიგადა დამლილა. ვილას სცხელოდა მაშინ ვაზისთვის? — ვისაც როგორც მოუხერხდებოდა და რაზედაც საჭირო იყო, იმაზე და ისე მუშაობდა.

გიორგიმ მაინც ვერ გაიმეტა თავისი ნაამაგარი ვენახი, ვერ მიატოვა უპატრონოდ ვაზი და, რადგანაც ცხენები აღარ ყავდათ, ხარ-კამეჩს მოკლე-მოკლე უღლები გაუკეთა და იმითი ხნავდა რიგთაშორისებს. მეხრეობად ქალები ყავდა უღლებზე და ქალებივე უგლიდნენ საღამოთი საქონელს.

შემდეგ ის იყო, დამთავრდა სამამულო ომი. დადუმდნენ აყეფებული ზარბაზნები და ნელნელა დაუბრუნდნენ ციხას წასული ვაჟკაცები. ჯერ დაჭრილები გამოჩნდნენ, შემდეგ კი დემობილიზებულნი და გიორგის ბრიგადამ და ვაზმაც თანდათან მოიდგა სული.

კვლავ ჩადგა ნაგუბარში წყალი და კვლავ დამშვენდნენ ვენახები.

როდესაც ხალხი მომრავლდა ბრიგადაში, მაშინ ნაკვეთები მიიმაგრეს. თვითონ გიორგიმ ერთი ჰექტარი აიღო თავის წილად და 1949 წელს ამ ნაკვეთზე 90 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ეს კი დიდად გასაოცარი რამ იყო მაშინდელი ანგარიშით, რადგან ჰექტარზე საშუალო მოსავლად 30-35 ცენტნერი ყურძენი ითვლებოდა, ხოლო ყველაზე მაღალ მოსავლად 40-45 ცენტნერი.

თანდათან მატულობდა ვენახის ფართობი. იზრდებოდა მოსავლიანი ვენახები და ჩნდებოდა ახალშენები. 1958 წელს უკვე 40 ჰექტარს გადაჰკარგა.

იმატა ხალხმაც და დამუშავების ხარისხმაც. სახელმწიფომაც მეტი ყურადღება დაუთმო მევენახეობას. მექანიზაციამაც დიდი ადგილი დაიკავა ჭიგოს მაგივრადაც მარტო სარი და მავთული დარჩა ვაზებში.

დიდი ყურადღება დაეთმო აგროწესების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას. მინერალური და ორგანული სასუქებით მიწის განოყიერებას. სიმჭიდროის მოსასპობად ვაზის გამორგვასა და მზრების გაგრძელებას უფრო მონდომებით მიჰყვეს ხელი. იმატა მოსავლმაც და ახლა უკვე ჰექტარზე 90-100 ცენტნერამდე ავიდა მოსავალი.

და, ბოლოს, 1962 წელს, ჰექტარზე საშუალოდ მოსავლიანობამ 110 ცენტნერს მიაღწია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ გიორგის ბრიგადას რაიონის გარდამავალი დროშა მიაკუთვნა.

1963 წელი მთელი საქართველოს მეგვინახეთათვის ყველაზე მძიმე წელი იყო. ვენახი ჭრაქმა დაეხიანა, ვაზმა თავის დროზე ვერ დაიყვავილა. გადაულებელი და განუწყვეტელი წვიმები მეწამლვის საშუალებას არ იძლეოდა. ვერაფრით ვერ დაამშვიდეს რიგთაშორისები. მაგრამ გიორგიმ მაინც ივაჟკაცა და ამ წელისათვის გუგონარი მოსავალი — ჰექტარზე საშუალოდ 67 ცენტნერი მიიღო.

1964 წელს ვენახების ფართობმა კოლმეურნეობაში 89 ჰექტარს მიაღწია და ბრიგადაც ორად გაიყო. ხოლო 1965 წლიდან კოლმეურნეობა ამბეტის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობას შეუერთდა.

იანვარ-თებერვალში აწვენდა ვაზებს და ახეკვინებდა მანჯაჯიძის მეთოდით, რათა მეჩხერიანობა სრულიად აღმოეფხვრა. ყოველ ვაზს შერჩევით სხლავდა და დატვირთვითაც ვაზს შესაძლებლობის მიხედვით ტვირთავდა. არჩევდა დასეულნებულ მსხვლელებს და მხოლოდ მათ ასხვლევინებდა. სარ-მავთულს თავის დროზე არემონტებდა. დაკავებითაც თავის დროზე აკავებდა. ხოლო შემდეგ თვეებში ვაზის მწვანე ოპერაციების დროს ხომ სულ ზედ დაკაკანალებდა: ზედმეტი ყლორტების შეცლა, პირველი ფურჩხნა და ანვავა მეტად სათუთია და დიდ გამოცდილებასაც მოითხოვს.

— მაისშია ყველაზე საფრთხილო სამუშაოები, — უმატებს გიორგი. — ვაზის მავნებლებთანაც და ავადმყოფობებთან ბრძოლა.

— ვაზის ყვავილობა შარშან იგრე გამოზომა გიორგიმ, — სიტყვას ამოძვრეს მასპინძელს აგრონომი, — რომ ყვავილობის დაწყებისას უკვე ორჯერ ქქონდა შეწამლული. ყვავილობისას სისველე არ ვარგა. მაშინ მზიანი დღეებია საჭირო, რათა დამტვერვა უკეთ მოხდეს. სანამ ყვავილობა დაწყებოდა, მანამდე ვაზის ჯიშების შერჩევით რქის წვერები წაეწყვეტინა მთელ ბრიგადაში. რქის წვერებს უმთავრესად მწვანესა და საფეიერეს აწყვეტენ. რადგან ენერგია ზრდაში აღარ მიდის და ვაზი კარგად ყვავილობს. რქაწითელი ისედაც ძლიერი ზრდისაა და რქის წვეროს წაწყვეტას არ საჭიროებს.

— რა დროს წყვეტთ ხოლმე ვენახებში სამუშაოებს! — ვეკითხები აგრონომს.

— როგორც კი ყურძენში თვალი შვდა, მაშინვე დროებით წყდება სამუშაოები, — მეუბნება გიგა, — მერე მიდის რთველისთვის მზადება. შემუშავდება გეგმა, მარაგდება საჭირო რაოდენობით ჭურჭელი, ტრანსპორტი, სასწორები, დანები, კომპლექტდება მკრეფავთა ჯგუფები. გამოვყოფთ მწონავებს, მტვირთავებს, მარანში გადამზადებულებს. ხუთ დღეში ერთხელ ვზოპავთ მაქრიანობას და სანამ სიტკბო 19° პროცენტს არ მიაღწევს, რთველს არ დავიწყებთ.

— რთველი როდის დაიწყეთ შარშან?

— პირველ ოქტომბერს და 10 ოქტომბრამდე გაგრძელდა. — მეუბნება გიორგი. — ეგეგმით 15-20 დღეში უნდა დამემთავრებინა, მაგრამ ათ დღეში ჩავეტეი.

— მსხმოიარე ვენახის 21 ჰექტარზე ეგეგმით 1.310 ცენტნერი უნდა მიეღო, მაგრამ 2.350 ცენტნერი მიიღო, — ეამაყება ირემაძეს. — ესე იგი ჰექტარზე საშუალოდ 112 ცენტნერი მიიღო და საერთო გეგმას 1.040 ცენტნერით გადაეჭარბა. იმიტომაც არის, სოციალისტური შრომის „გმირობა რომ დაიმსახურა, — ამთავრებს აგრონომი.

— მარტო მე რა, — თავმდაბლობს მასპინძელი, — ჩემი ბრიგადის წევრებს რომ არ ეყოჩაღნათ. მე რას ვიზამდი? — აი, გიორგი მაისურაძემ, მაგალითად, ნახევარ ჰექტარზე 30 ცენტნერის მაგიერ 80 ცენტნერი მიიღო და 996 მანეთი პრემია დაიმსახურა; გიორგი ჭილაშვილმა ნახევარ ჰექტარზე 95 ცენტნერი მიიღო, შალვა ჭილაშვილმა ერთ ჰექტარზე — 140 ცენტნერი. ოსებს დავითაშვილმაც ნახევარ ჰექტარზე ცოტა მეტიდან 90 ცენტნერი, და ყველას სად ჩამოთვლი? ის ორი ბერიკაცი კი კარგად მახსოვს, რა გახარებული იყვნენ: ერთი ალექსი დავითაშვილია, რომელმაც ნახევარ ჰექტარზე 85 ცენტნერი მოიყვანა, მეორე კი პაკელი ბასილაშვილი, ნახევარ ჰექტარზე 87 ცენტნერი რომ მიიღო, ჰექტარზე გადაანგარიშებით 174 ცენტნერი.

— შენ რამდენილა მიიღე პრემია, გიორგი? — ვეკითხები მასპინძელს.

— მე და ჩემმა დედაკაცმა 1.200 მანეთი მივიღეთ. ჩვენმა ბრიგადამ კი სულ 18.000 მანეთი.

— წელს რაღას აპირებ? — ვეკითხები გიორგის.

გიორგი იღიმება.

— წელს გავთამამდი და ჰექტარზე 112 ცენტნერიდან 120 ცენტნერამდე ავუწევ.

— ძალიან მაგარი რამე გიკისრია, — ვამბობ და მანქანაში ვსხდებით.

გიორგი ვენახის კარებს ჩამოყრდნობია და ღიმჩამდგარი თვალებით გვაცილებს.

გიგა და გივი მეურნეობის კანტორასთან ჩამოვიდნენ.

გარსეგანს მადლობა ვუთხარით „კოლხოზნიკის“ თხოვგებისთვის და ისევ ალექსის „ვოლგაში“ გადავსხედით.

— აბა, ბახტრიონს ჩაგვიყვანე, ბიჭო, — ეუბნება შოფერს ალექსი და თვალის ქნევით იჯერებს გულს.

გზის შეკეთება, რომლის დასათავლიერებლადაც წამოვედით, უკვე ბახტრიონის ციხის ნანგრევებამდე მოუთავებიათ.

მანქანა თითქმის ობელისკის ძირთან მივიდა და გაჩერდა.

— ათასი ეკსკურსია მოდის ხანახვად, ხომ რიგიანი გზა უნდა იყოს? — მეუბნება ალექსი და მანქანიდან გადმოდის. — მოდი, ბატონ ამოვსუფთავთ, გავიხედ-გამოვიხედოთ, თვალს წყალი დავალევინოთ და მერე პანკისს წავიყვან.

ბახტრიონის ლეგენდარული ციხის ნანგრევები მცირეოდენილა შემორჩენია. ოღონდ მაღალ ობელისკი აღმართულა მათ შუა და მნახველებსა და გამვლელ-გამომვლელს ახსენებს, რომ ერთ დროს მან გადაწყვიტა მარტო კახეთისა კი არა, იქნებ საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედიც. უნებურად მახსენდება ხალხური ლექსი:

ბახტრიონს სხედან თათრები,
საქმეს ამბობენ ძნელსაო,
..ამბეგას ჩავეჭრით ვენახებს,
შიგ ჩავასხლეთ ელსაო“.

მაგრამ ვერც ერთი გადამთიელის ხელმა ვერ მოსპო ახმეტის ვაზი. ვეღარც ელენმა იბოგინეს ახმეტახა და მის მიდამოებში. ქართულმა სახალხო ლაშქარმა მილეწ-მოლეწა მომხდურნი, და ახლა ათას ეცილებენ გამოვლილ, დუდაბით ნაგებ ციხის კედელზე თუ შედგები და გაიხედ-გამოიხედავ, ყველგან თვალგასახარად დაფენილან ვენახები, ზვრები და ისევ ვენახები.

დაე გაიხაროს ათასი გიორგის მარჯვენამ და ათას ახმეტას აძღიერეს ვაზი!...

ახმეტა.

• • •

სურათზე: წინა პლანზე — სოციალისტური შრომის გმირი გ. ხარიტონაშვილი.

ფოტო ვ. ცხაოშვილისა.

ახლოვდება მოთას

ლენინგრადი

რუსთავლისადმი

რუსთაველს

რუსთავი. (საკ. კორ.). „რუსთაველები რუსთაველს“ —ასეთი სათაურით გამოსაცემად მზადდება წიგნი, რომელშიც შევა რუსთავში მომუშავე მუშა პოეტების და პროზაიკოსების რუსთაველისადმი მიძღვნილი ახალი ნაწარმოებები.

იუბილესთვის მზადების დღეებში მეტალურგთა ქალაქში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც ხორციელდება. თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიასა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მოეწყო გენიალური პოეტისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენები.

უკვე დამთავრდა ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის — რუსთაველის სახელობის პროსპექტის რეკონსტრუქცია. ქალაქის მარცხენა ნაპირის დასახლებაში მოავლენდა ახალი კინოთეატრი, რომელსაც რუსთაველის სახელი მიეკუთვნება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის მხარემცოდნეობის მუზეუმის რეკონსტრუქცია. აქ ერთი განყოფილება დამთმობილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ექსპოზიციებს, მეორე განყოფილება კი ასახავს თანამედროვე რუსთავს.

———

მესხეთის გული ემზადება

იუბილეს დღეებში უამრავი ხტუმარი ეყოლება მესხეთის გულს — ახალციხეს. რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ძველი ისტორიული ადგილებისა და კულტურის ძეგლების დასათვალიერებლად აქ ჩამოვლენ როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

სტუმრების შესახვედრად ემზადება მთელი ახალციხის რაიონი. საიუბილეოდ გათვალისწინებულმა ბევრმა კარგმა ღონისძიებამ უკვე ფრთები შეისხა.

ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე ათასობით ძირი მარად მწვანე და ფოთლოვანი ხე-მცენარე დარგეს ქალაქ ახალციხის შემოსასვლელი გზის ნაპირებსა და სკვერებში. გამწვანდა და კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები.

რკინიგზის სადგურის წინ აღიმართა სამამულო ომში სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაუკაცთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკი.

ქალაქის ცენტრში მოეწყო რუსთაველის სახელობის ახალი მოედანი, სადაც უკვე დაიდგა პოეტის ძეგლი.

იუბილესათვის მზად იქნება ახალი ფართოეკრანიანი კინო-თეატრი, რომელიც დაიტევს 400-მდე მაყურებელს. რეკონსტრუქტირდა უკეთოდ აგრეთვე ქალაქის მეორე დიდ კინოთეატრს.

მთავრდება რესტორან „მესხეთისა“ და სასტუმრო „მესხეთის“ რეკონსტრუქცია. ეს უკანასკნელი მთლიანად გაეწყობა ახალი ავეჯით.

ახალციხის მახლობლად მდინარე მტკვარზე მთავრდება არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული 150 მეტრიანი რკინა-ბეტონის ხიდი, რომელსაც რაიასბჭოს აღმასკომის დადგენილებით უკვე მიენიჭა რუსთაველის სახელი. იუბილეს დღეებში საზეიმოდ გაიხსნება და ახალციხეში ჩამოსული სტუმრები ამ ხიდზე გავლით გემგართებიან ვარძიისკენ.

მალე მზად იქნება აგრეთვე საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ახალი ობიექტები — ლამაზად გაფორმებული კაფე-სახადილოები, პავილიონები, მაღაზიები, სპარიტმეხერეოები და სხვა. ქალაქი ახალციხე საზეიმო იერს იღებს.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდი პოეტის სახელოგისა

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ დღეებში ქალაქის პიონერთა სასახლეს შოთა რუსთაველის სახელი მიაკუთვნა. ნაქერალის მთის ქედს, ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მთას, სადაც საფუძველი ჩაეყარა მეშახტეთა დასვენების მძლავრ კერას — სანატორიუმ-პროფილაქტორიუმს, რუსთაველის მთა ეწოდა. გადაწყდა ქალაქის ცენტრში მაგისტრალური ქუჩის თვალსაჩინო ადგილას დაიდგას შოთა რუსთაველის ბიუსტი.

საიუბილეო დღეების უკეთ შეხვედრად საერთო ფერხულში ჩაებნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებიც. ამ დღეებში აქ დაიდგა უკვდავი პოეტის ბიუსტი.

ხურათზე: შოთა რუსთაველის ბიუსტი წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში.

ფოტო გ. ლომაძისა.
(საქდესის ფოტოკორონკა).

„ჩვენი რუსთაველი“

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეძღვნება ოქტომბერს

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბოლს საკითხების შესწავლას ბევრი ავტორი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნეს ქართველმა ისტორიკოსებმა. მაგრამ ხაზგასმით შეიძლება ითქოს, რომ ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ შეუსწავლელი და დაუმუშავებელია. ამიტომ დიდად მნიშვნელოვანია ბორის მეცნიერებათა დოქტორის მახარაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, რომელიც ბოლო წინათ გამოსცა „სხეჩოთა საქართველო“.

ავტორი წარმოადგენს ავტორის ხანგრძლივი მუშაობის, უთმრავი ფაქტიური ლიტერატურის მასალის მამარჯვებით დაწერილ, პირადი დაკვირვებებისა და მეცნიერული ანალიზის ნაყოფს.

მონოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმის ბოლოსებმა მიერ მოცემულ ფუძეზე ფაქტიური მასალის მამარჯვებით დაყრდნობით ნაჩვენია ისტორია საქართველოს ეროვნული ორგანიზაციებისა და ეროვნული ბრძოლისა ხალხთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ფაქტიური ინფორმაციაა ეროვნული ორგანიზაციების ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლა ბოლ. ეროვნული ბრძოლა ბოლ. ეროვნული ბრძოლა ბოლ. ეროვნული

ბიჭვინთის ქრონიკები

უკანასკნელ წლებში ბევრჯერ ვყოფილვართ ბიჭვინთის კონცხზე, დაგვისვენია ზღვასთან, დავმტკბარვართ ბიჭვინთის განთქმული ფიჭვების ცქერით. მაგრამ ერთ კუთხეში, წყნარ ყურესთან რომ არის, ჩვენთვის ნაცნობი ბუნება ვეღარ ვიცანით. ნაპირზე გაჩენილან დიდი პალმები, ისეთები კი არა, ჩვეულებრივად რომ იზრდებიან აქ, დეკორაციული ალაჩოყები, პავილიონი. პიროტექნიკოსები ყურეს ხშირ-ხშირად აყრუებენ აფეთქებებით და კვამლი თეთრ ქულებად ეფინება ლურჯ ზღვას.

აქ, ზედ ნაპირზე, კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია იღებს ფართოფორმატიან ფერად ფილმს „იმედის ნაპირი". აქვე გავიცანით ფილმის დამდგმელი რეჟისორი მიკოლა ვინგრანოვსკი.

— ეს იქნება ფილმი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა თანამეგობრობის შესახებ, — ამბობს იგი. ფილმის ცენტრშია შემოსხივებული ამერიკელი მეცნიერი, გვარად შერვუდი, ხიროსიმაში ჩაგდებული ამერიკული ატომური ბომბის ერთ-ერთი ავტორი. ეს მეცნიერი, რომელიც უკურნებელი სენით დაავადდა, მალე კვდება, ხოლო მფრინავი-მაიორი, გვარად გრიზლი, რომელმაც ეს ბომბი ჩააგდო, ჭკუაზე შეიშალა. და ამერიკის ამ ეროვნულ გმირს საგიჟეთში გზავნიან. ფილმს წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მეცნიერებმა, რომლებიც სათავეში უდგანან ადამიანის გონებას, მეცნიერება ისე უნდა წარმართონ, რომ იგი ადამიანთა ბედნიერებასა და პროგრესს ემსახურებოდეს.

მთავარ როლებს ასრულებენ: კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ბ. ბიბიკოვი (შერვუდი), მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობი ი. ლეონიდოვი (აკადემიკოსი მაკაროვი), მსახიობი ა. კონტოუე (შერვუდის ქალიშვილი), მსახიობი ა. კორეტკოვი (მაიორი გრიზლი). ბიჭვინთაში მალე დამთავრდება გადაღება. მომაგალი წლის დამდეგს ფილმი გამოვა ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე.

ზუსს მარცხნივ გაგრის შესასვლელთან მიწის მცირე ნაკვეთს დაბალი ღობე აქვს შემოვლებული. ცისფერ ისარზე თეთრი ასოებით წარწერაა: „ვერტოდრომი". ამ მინდორზე დღეში რამდენჯერმე ეშვებიან ვერტმფრინავები. მათ აქ დამკვიდებლებისათვის მოაქვთ ეურნალ-გაზეთები, ფოსტა.

ყველა სამუშაოს ვერტოდრომზე ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ერთ-ერთი უხუცესი პილოტი ა. ოსეფიანი. — როგორ უწევთ მომსახურებას გაგრის დამსვენებლებსა და მცხოვრებლებს? — ვეკითხებით ჩვენ.

— თვითონ ნახეთ, — გვიპასუხებს იგი და ადამიანთა დიდ ჯგუფზე მიგვითითებს. — ყველას უნდა გაფრენა, მაგრამ ყველა თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთ. ვერტმფრინავები არ გვყოფნის, ჩვენს ვერტოდრომს მომსახურებაც უწევენ ადლერიდან და სოხუმიდან მოსული მანქანები. ძალიან ბევრს სურს გაფრინდეს ამ პუნქტებში. ადლერამდე ავტობუსი ხომ საათნახევარს უნდება, ვერტმფრინავი კი — 15 წუთს. კიდევ უფრო ხელსაყრელია ვერტმფრინავით წასვლა სოხუმში. მართალია, ტრასებზე მალე ივლიან ახალი ჩქარი, უმძაფრო, 24-28-ადგილიანი ვერტმფრინავები, მაგრამ ეს მომავლის საქმეა, ჯერჯერობით კი ადლერიდან მომავალი ვერტმფრინავების რეისები შეამცირეს ოთხიდან ორამდე დღეში, ხოლო ერთადერთი ვერტმფრინავი, რომელიც სოხუმიდან ადლერში დადის, უკან დაბრუნებისას გაგრაში არ ჩერდება. ამის გამო მცხოვრებლებს და დამსვენებლებს შესაძლებლობა არა აქვთ ისარგებლონ ამ ტრანსპორტით სოხუმამდე. ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და უახლოეს ხანში ამ ტრასაზე დააწესონ რეისები მთელი წლის განმავლობაში.

ბიჭვინთის ტყეში შევხვედით მას. იგი გულმოდგინედ სინჯავდა გამხმარი ამძიერკეული ფიჭვის ფესვებს. დიდრონ ფესვებს ხერხით აჭრიდა ხვადასხვა ზომის ნაჭრებს. შემდეგ აქვე ნაპირზე არჩევდა მათგან ისეთებს, რომლებშიც თითქოს რაღაც გამოსახულებებს ხედავდა. ამრიგად, აქ დასასვენებლად ჩამოსული ქუთაისელი ექიმი შალვა გაგულამვილი ერთობოდა საყვარელი საქმით. მან უკვე შეაგროვა მთელი კოლექცია, რომელიც შედგება სხვადასხვა ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების გამოსახულებათა 60-მდე ექსპონატიდან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა შერჩეული გამოსახულება მთლიანია, ისეთი, როგორიც იგი შეუქმნია თვით ბუნებას. იგი არაფერს არც უმატებს, არც აწებებს. ექსპონატთა შორის არის ცხენის, მოცეკვავე თხის, ანტილოპის, გველის, ხვლიკის, ირმის, სპილოს, გედის, იხვის და სხვ. გამოსახულება. შალვა ფიქრობს ეს ექსპონატები უჩვენოს გამოფენაზე.

ჯონცხზე მყოფი ყველა დამსვენებელი წასვლის წინ ტრადიციისამებრ მიდის ზღვის ნაპირზე და გვიან საღამომდე იქ რჩება, ჩვენც ასე მოვიქეცით.

უზარმაზარი ცეცხლოვანი ბირთვი უკვე მიეფარა ზღვის იქით ჰორიზონტს. მეორე მხრიდან კი, თითქოს მისი დაწევა უნდოო, ამოდიოდა დიდი მთვარე. ნიავი ჩადგა. უძრავად იდგნენ ფიჭვის კენწეროები. თითქოს ყველაფერი გაირინდა. და ამ სიწყნარეში ჩვენ როგორღაც დავგენანა ამ შშვენიერი კუთხის დატოვება.

დილაადრიან კი გამოვეთხოვეთ ამ ზღაპრულ ბუნებას. ტყის მახლობლად შეგვხვდა ხნიერი მეტყევე გრიგოლ ჩარკვიანი და გვთხოვა, ამ ზღიდამდე მიმიყვანეთო.

— შეხედეთ ამ წარწერას, წაიკითხეთ, — მიგვითითა მან ფარზე, რომელიც დადგმულია გზატკეცილის ნაპირზე. და ჩვენც ქართულად წავიკითხეთ: „პიცუნდა".

— ეს ხომ სწორი არ არის, — თქვა მეტყევემ. — ამ ადგილის ქართული სახელწოდებაა „ბიჭვინთა".

რასაკვირველია, ძველი მეტყევე საფუძვლიანად მართალი იყო.

ვლ. გინზბურგი.

„კომუნისტის" ფოტო. კორ.

* * *

ბიჭვინთაში. სურათებზე: ზემოდან-მარცხნივ — ზღვის ნაპირზე ადგილ-ადგილ „იუნოსტ", ვერტმფრინავი გაგრაში მოდის, კადრი ფილმ „იმედის ნაპირიდან", ქვემოთ მარცხნივ—ექსპონატები „მოცეკვავე თხა" და „ცხენი".

ფოტო ავტორისა.

ჩვენი ინტერვიუ

ა. რეფრეჟიე: შთაბეჭდილება ქაღლიან ჯიჯიკ

ამერიკელი მხატვრის ანტონ რეფრეჟიეს სახელი ფართოდ არის ცნობილი მთელ ამერიკის კონტინენტსა და მის ფარგლებს გარეთ. რეფრეჟიე პირველ რიგში ფერმწერი მონუმენტალისტია. მისი კაპიტალური ნაწარმოებები გაბნეულია ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში და ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობენ. რეფრეჟიეს შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მშვიდობის თემას. ეს გასაკვირველიც არ არის, იგი ხომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აქტიური წევრია. მისი გრაფიკული თუ ფერწერული ნაწარმოებები მიმართულია ომის, ადამიანთა ჩაგვრის, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან შეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით ანტონ რეფრეჟიე თბილისში ჩამოვიდა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ბუბულური შეხვდა ამერიკელ მხატვარს და რამდენიმე კითხვით მიმართა:

— რა მიზნით ჩამოგრძანდით საბჭოთა კავშირში?

— საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირის მოწვევით ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვედი მოსკოვში, სადაც მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ჩემი ნამუშევრების გამოფენა. ეს არის ჩემი ნაწარმოებების პირველი გამოფენა საბჭოთა კავშირში. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ძირითადად მშვიდობის თემაზეა შექმნილი. მათ შორის არის როგორც ადრინდელი გრაფიკული ნაწარმოებები, ისე ჩანახატები ჩემი ალბომიდან „მხატვრის მოგზაურობა", რომელიც გასულ წელს გამოვიდა ნიუ-იორკში.

პირველად ამ შვიდიოდე წლის წინათ ვიმოგზაურე საბჭოთა კავშირში, ვიყავი საქართველოშიც. ამ მოგზაურობისას გავაკეთე რამდენიმე ჩანახატი. მხურდა ჩემი ჩანახატებით მომეთხრო ამერიკელი ხალხისათვის თქვენს ქვეყანაზე, თქვენს ხალხზე.

რეფრეჟიე მთავაზობს ალბომს „მხატვრის მოგზაურობა". პირველ ფურცელზე ალბეჭდილია თეთრბებთიანი გოგონა კრემლის წინ მტრედებთან. ის მოლიმარი სახით შეხცქერის ცაში ლაღად მონავარდე ფრთოსნებს. აი კიდევ უკრაინელი ქალიშვილი, თეთრი გვირილის გვირგვინით დამშვენებული.

— ეს მოხუცი ვინ არის, უვაკილებში ჩაფლული?

— თქვენი მეცხეელი მებაღე მამულაშვილია, — ამბობს ამერიკელი მხატვარი, — ეს ხურათი ჩემს გამოფენაზეც მაქვს წარმოდგენილი. მოსკოვის გამოფენაზე ამ ალბომიდან ექსპონირებულია ავრეთვე ბათუმელი მეჩაიე ქალები და სხვ.

— თქვენთვის თუ არის ცნობილი, რომ ამჟამად მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ემზადება ზოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის და ამ მხრივ თქვენთან თუ კეთდება რაიმე?

— როგორ არა. ამ თარიღს ჩვენს ქვეყანაშიც აღვნიშნავთ. ჩვენი ქვეყნის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, სადაც სწავლობენ საზღვარგარეთის ლიტერატურას, გაიმართება ზოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექციები, გამოფენები.

— ხომ ვერ მეტყვით, ამჟამად რაზე მუშაობთ, როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

— სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობას დავიწყებ მონუმენტური ტილოზე ერთ-ერთი ჩვენი პროფკავშირული შენობისათვის. ვემზადები ახალი გამოფენისათვის, სადაც ფართო ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირში წლევანდელი მოგზაურობის შედეგად გაკეთებული ჩანახატები.

— როგორია თქვენი ზოთაბეჭდილება?

— თბილისში ყოფნისას დავათვალიერე მუზეუმები, სადაც გავეცანი როგორც წარსული კულტურის დიდებულ ძეგლებს, ისე თანამედროვე მხატვართა ნამუშევრებს. შევხვდი თქვენს ახალგაზრდა მხატვრებს. მათი შემოქმედების გაცნობას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

შთაბეჭდილება ძალიან დიდია. ვეცდები გადავცე იგი ჩემს ხალხს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რეფრეჟიემ გადმოგვცა თავისი პლაკატი, რომელსაც ის, ნიშნად ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობისა, ყოველ წელს გზავნის ვიეტნამში.

* * *

სურათზე: ამერიკელი მხატვრის ანტონ რეფრეჟიეს პლაკატი „შეწყდეს ომი ვიეტნამში".

ზრუნვა ომის ინვალიდებისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). ომის ინვალიდები და სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახები აქ საყოველთაო მზრუნველობით არიან გარემოცული. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ სამამულო ომის ინვალიდებს სახატრიუმების 32 საგაზური მისცა. მათვე ერთდროული ფულადი დახმარების სახით მიეცათ ათასამდე მანეთი.

ერთი წლის განმავლობაში სამამულო ომის ათმა ინვალიდმა უფასოდ მიიღო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი".

ხულიგან მკვლელებს — დახვრეტა

კვირაველ. იყო. გარდაბნის რაიონის სოფელ მუღანლოს ცენტრში ალაი შრომის ადამიანები, მხვნელ-თესველები შეკრებილიყვნენ. ისინი ბაასობდნენ საკოლმეურნეო მინდვრის ავკარგზე, ხვალინდელ დღეზე. გოგო-ბიჭები ლაღობდნენ, მხიარულობდნენ...

უცებ ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. გამოჩნდა უქნარა ჯანჯგირ მუსაევი. მას მოკავებოდა ასევე უსაქმური ფიოუნდ გუსეინოვი.

— თუ ვინმე ბიჭია, ხმა გამიცეს, მიწასთან გავასწორებ. — ღრიალებდა ჯ. მუსაევი.

— თუ დაგვჭირდა მდინარეს აღმა ავიყვანთ, — მკერდზე ხელის ბაგუნით ღრიალებდა სოიუნ გუსეინოვიც.

ხულიგნებმა ზარი დასცეს სოფელს. ქალებმა ფიცილ-კივილი ატეხეს. შეშინებული ბავშვები სახლებიკაკენ გაიქცნენ. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებმა—ხულიგნებმა მუშაკაცი გ. გუსეინოვი და მისი ძმა განჯა გუსეინოვი, რომლებმაც წესრიგისაკენ მოუწოდეს თავშეუფლებელებულ ხულიგნებს, სცემეს, სისხლი ადინეს.

ხულიგანი ჯანგირ მუსაევს მისი ახლობელი, აყალმაყალში დაოსტატებული ალი მამედოვიც წამოუშველა, ჯიბიდან სასროლი იარაღი ამოიღო და რამდენჯერმე გაისროლა. პირველმა ნასროლმა ტყვიამ სრულიად უდანაშაულო ადამიანი ა. გუსეინოვი სასიკვდილოდ დაჭრა, მეორე ტყვიამ გაიჯ გუსეინოვი დაიზიანა. ხულიგანმა სოიუნ გუსეინოვმა დაჭრილ გაიჯს ასლა ხანჯალი ჩასცა ფერდში.

გარეწრებმა — ხულიგნებმა, მკვლელებმა ორი ადამიანი გამოასალმეს წუთისოფელს.

ხალხი მრისხანედ, ბროოტმოქმედნი შეიპყრეს.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ნ. გაჯიევის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის — საქართველოს, სსრ პროკურორის თანაშემწის ა. დიასამიძის მონაწილეობით ხულიგან მკვლელებს ხ. გუსეინოვსა და ა. მამედოვს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. დანარჩენ ხულიგნებსაც საკადრისი მიეზღოთ.

გარდაბნის რაიონის მზრომელებმა, რომლებიც სასამართლოს გამსვლელ სხესიას ესწრებოდნენ, ერთსულოვნად მოიწონეს განაჩენი.

ხულიგან მკვლელების მიმართ განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ლ. ზაიჩიკი, ა. გოცირიძე.

სამარადისოდ...

ალმა-ათა. 7 სექტემბერი. (საკ. კორ.). დღეს ყაზახეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის დ. პანკოვის ბრძანებით შინაგანი სამსახურის მაიორის კენეტბაი ეაკუპოვის სახელი სამარადისოდ შეტანილია ყზილ-ორდის ოლქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს პირადი შემადგენლობის სიაში.

...ქალაქს ეძინა, როცა ყზილ-ორდის ავტოსატრანსპორტო ბაზაში ხანძარი გაჩნდა. ალი მიიწევდა ავტომობილებისაკენ, სარემონტო სახელოსნოსაკენ, რეზინის საწყობისაკენ. კვამლმა მისასვლელი გზა გადაკეტა. ამ რთულ ვითარებაში ხანძრის ქრობას ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი მაიორი კენეტბაი ეაკუპოვი. მან სიმამაცის პირადი მაგალითი უჩვენა მეხანძრეებს და ალმოდებულ შენობაში შეუძღვა, გამოიჩინა გაბედულება და მამაცობა ცეცხლის სტიქიასთან წინააღმდეგ ბრძოლაში. მატერიალური ძვირფასეულობა გადარჩა. მაგრამ, როდესაც ცეცხლი დაცხრა, მოულოდნელად ჩამოინგრა ერთ-ერთი საწყობის სახურავი, რომელზეც მაიორი ეაკუპოვი იდგა. ექვსმეტრიანი სიმაღლიდან დაცემის დროს იგი მძიმედ დაშავდა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თბილისის სახელმწიფო საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1966 წ. წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ შემდეგ სპეციალობებში: 1. პლასტმასების ტექნოლოგია და გადამუშავება, 2. სილიკატების ტექნოლოგია, 3. საშენი მასალები, დეტალები და ნაკეთობანი, 4. სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა.

ასპირანტურაში შიღების განცხადებას დირექტორის სახელზე, უნდა დაერთოს: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, ბ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, გ) დახასიათება — რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, დ) გამოგონებათა და გამოქვეყნებული მეცნიერულ ნაშრომთა სია.

ის პირნი, რომელთაც აია აქვთ გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომები, ადგენენ რეფერატს არჩეული სპეციალობის მიხედვით.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ პირთ ეძლევა შეტყობინება ხელფასის შენახვით 30 კალენდარული დღის რაოდენობით.

ასპირანტურაში მისაღებნი აბარებენ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელთა პროგრამის ფარგლებში: არჩეულ სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება ა. წ. 20 სექტემბრამდე, ხოლო **მისაღები გამოცდები** 1966 წ. 1 ოქტომბრიდან. **საბუთები** უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის № 71, ტელეფონი 7-10-94.

თბილისის უსწორ ენათა კელაკოლეგიური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული

პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული.

ფრანგული ენის კათედრის დოცენტი — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადება ინსტიტუტის რექტორის სახელზე, და არსებული დებულებით გათვალისწინებული საბუთები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №45.

ტელევიზია

8 სექტემბერი

11.00 — კინონარკვევი. 11.20 — მხატვრული ფილმი „მომეცით სარეცხის წიგნი". 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ნეფტიანიკი" (ბაქო)-„დინამო" (თბილისი) (გადმოცემა ბაქოდან). 19.45 — ბულგარული ხალხის ეროვნული დღესასწაული. 20.00 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი — „ყველავ მივლენებაში". 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო" (კიევი)-„შახტიორი" (დონეცკი). მეორე ტაიმი (გადმოცემა კიევიდან). 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.35 — მხატვრული ფილმი „მომეცით სარეცხის წიგნი".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს დამატებით მიღებას ასპირანტურაში 1966-1967 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებზე:

თეორიული კიბერნეტიკა, მათემატიკური ანალიზი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, არაორგანული ქიმია.

განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე.

მისაღები გამოცდები 1 ოქტომბრიდან.

ასპირანტურაში მიღების პირობები გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 1 სექტემბრის ნომერში.

ღაუმარცხებლად მხოლოდ ერთი...

პარაღის მსოფლიო ჩემპიონატში დაუმარცხებლად მხოლოდ მასპინძლები — ჩეხოსლოვაკიელები იბრძვიან. მათ 6 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილის სათავეში დგანან. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან სსრ კავშირის, პოლონეთისა და იაპონიის გუნდები.

მორიგ ტურში საბჭოთა ფრენბურთელებს პაექრობა ჰქონდათ იუგოსლავიის ნაკრებთან. ჩვენს გუნდს პირველ ორ პარტიაში წარმატება ხვდათ (15:11, 15:6), მომდევნო პარტია იუგოსლავიელებმა მოიგეს (15:13), მაგრამ შემდეგ არ ეყოთ ძალა და წაგეს მატჩი საერთო ანგარიშით 1:3.

იაპონელები დამარცხდნენ პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრაში ანგარიშით 2:3.

აქცია

გუშინ მთელ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო ცაგერში — 31, სოხუმში, ონსა და ქუთაისში — 30, გარდაბანში — 29, გუდაუთში, სამტრედიასა და აბასთუმანში — 28, ზუგდიდში, თბილისსა და ყვარელში — 27 გრადუსი.

დღეს დასავლეთ საქართველოს ხანაპირო და ალმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა საქართველოს ბარში 24-29 გრადუსი, ხოლო მთაში — 20-25 გრადუსი.

თბილისში უნდა მოველოდეთ ცვალებად მოღრუბლულ ამინდს, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა — 27-29 გრადუსი.

თორმეტი ფინალისტი

ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატება

◆

ტ. გოლოვეი — 9,5 ქულა და მოსკოველი ოსტატი ნ. ვოიტეკი — 8 ქულა. რვა-რვა ქულა შეაგროვეს ავრეთვე თბილისელებმა ა. ჩაიკოვსკაიამ და ა. კაახბრიშვილმა, მაგრამ ისინი ფინალში ვერ მოხვდნენ.

პეტროზავოდსკის ჯგუფში ოთხ ისახელა მოსკოველმა ოსტატმა ა. ბაბაგინამ — 10,5 ქულა 13-დან. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა მინსკელი ბ. არჩაკოვა. რსფსრ არაერთგზის ჩემპიონმა ვ. ტიხომირვამ 8,5 ქულა შეაგროვა და ა. სამანასთან და ბ. არჩაკოვასთან ერთად ფინალში გავიდა.

ნოვოსიბირსკის ნახევარფინალში ნებულად ითამაშა თბილისელმა ოსტატმა ე. კაკაბაძემ. მან 9 ქულა შეაგროვა. პირველი ადგილი დაიკავა. ლენინგრადელმა ლ. ვოლკერმამ და ალმა-ათელმა ა. მუსლიმოვამ რვანახევარ-რვანახევარი ქულა შეაგროვეს და ე. კაკაბაძესთან ერთად ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

მი-6 მიფრინავს სკანდინავიაში

6 სექტემბერს შერემეტიევოს აეროდრომიდან აფრინდა ვერტმფრინავი მი-6 და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ. ეს გიგანტი წავიდა სკანდინავიის ქვეყნებში შორეული მოგზაურობისათვის. მას ელიან შვეიცარია, ნორვეგიასა და ფინეთში.

ვერტმფრინავი მი-6, რომლის ნომერია 06174, კარგად არის ცნობილი საზღვარგარეთ. მიმდინარე წლის ზაფხულში იგი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 11 ათასი კილომეტრი გაიარა. შვეიცარიის ალპებში ვერტმფრინავი აეკიდებოდა მაღალმაღალი ხეების საყრდენებს. ფრანგეთში მონაწილეობდა ტყის ხანძრის ჩაქრობაში.

ახლა ვერტმფრინავ-უნივერსალის ეკიპაჟი გადაწყვეტეს სკანდინავიის ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა. (საკ.ფსა).

ჩაუ ვრცელოთ, ჩაუ ეოვისეენოთ

9 სექტემბერი

11.00 — სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია. (გადმოცემა სოფიიდან). 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — მოსწავლეთათვის — „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო" (კინომოგზაურობა ბულგარეთში). 18.50 — გადაცემა „სპორტის მსოფლიოობისათვის". 19.10 — განცხადებები. 19.15 — გზა დიდებისა. 19.50 — კინონარკვევი. 20.00 — „ვეფხისტყაოსანი" და XIX საუკუნის ქართული მწერლობა". 20.25 — ჩვენი სტუმრები. 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.00 — გადაცემათა პროგრამა 10 სექტემბრისათვის. 21.05 — ბულგარული სატელევიზიო ფილმი (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.00 — დიდი სადღესასწაულო კონცერტი (გადმოცემა სოფიიდან).

კინო

8 სექტემბერი

ოქტომბერი — ომი და მშვიდობა, რუსთაველის სახელობის, ნაკადული, ისანი (საზამთრო), გაზაფხული, საქართველო (წითელი დარბაზი და საზაფხულო), ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **მასწავლებლის ფათერაკები, სპარტაკი,** ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოლხიდა (საზამთრო), ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **რასტამონი.**

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-09, 9-03-09, პ/მგ-მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი ბისაგანთი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 01762

სკკ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

2